პროექტი

საქართველოს კანონი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №5, 18.01.2005, მუხ. 19) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-9 მუხლის :

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. კომისიის წევრის კანდიდატურა შეირჩევა ღია კონკურსით, კანონიერების, გამჭვირვალობის, კანდიდატების თანასწორობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით“.

ბ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კანდიდატთა სიის გამოქვეყნების შემდეგ კანდიდატურების შერჩევის მიზნით საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია. საკონკურსო კომისია დაკომპლექტებული უნდა იყოს მიუკერძოებელი და კომპეტენტური პირებით. საკონკურსო კომისია ამოწმებს წარდგენილი კანდიდატების შესაბამისობას ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული განათლებისა და პროფესიული გამოცდილების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. თუ საკონკურსო კომისიის მიერ დადგინდება, რომ ამ კანონით განსაზღვრულ განათლებისა და პროფესიული გამოცდილების საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აკმაყოფილებს 3-ზე ნაკლები კანდიდატი, ცხადდება ახალი კონკურსი, რომელიც ტარდება ამ მუხლით დადგენილი წესით. თუ საკონკურსო კომისიის მიერ დადგინდება, რომ ამ კანონით განსაზღვრულ განათლებისა და პროფესიული გამოცდილების საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აკმაყოფილებს არანაკლებ 3 კანდიდატი, საკონკურსო კომისია მართავს გასაუბრებას იმ კანდიდატებთან, რომლებიც აკმაყოფილებენ აღნიშნულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. საკონკურსო კომისია კანდიდატების განაცხადებისა და გასაუბრების შედეგების მიხედვით, ამ კანონით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და შერჩევის პრინციპების გათვალისწინებით საქართველოს მთავრობას წარუდგენს რეკომენდაციას წარსადგენი კანდიდატების შესახებ. საქართველოს მთავრობა ამ კანონით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და შერჩევის პრინციპების გათვალისწინებით საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს საქართველოს პარლამენტისათვის ასარჩევად წარსადგენი კანდიდატების სიას. 1 ვაკანტურ თანამდებობაზე არანაკლებ 3 კანდიდატი შეირჩევა.“

2. მე-10 მუხლის:

ა) მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) კომისიის წევრის მიერ ზედიზედ 3 თვეზე მეტი ხნით ან წლის განმავლობაში 4 თვეზე მეტი ხნით არასაპატიო მიზეზით კომისიის წევრის უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში.“

ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურის აღძვრის ინიციატორმა საქართველოს პარლამენტის წევრებმა აღნიშნული საფუძველი დოკუმენტური მტკიცებულებებით უნდა დაასაბუთონ. საქართველოს პარლამენტის წევრთა ხელმოწერების შეგროვებიდან 30 დღის ვადაში პარლამენტს სრული შემადგენლობის უმრავლესობით პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეაქვს კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი. კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხს პარლამენტი კენჭს უყრის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანიდან 30 დღის ვადაში. კომუნიკაციების ეროვნული კომისიას და იმ კომისიის წევრს, რომლის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხიც იხილება, უფლება აქვს, წერილობით ან/და ზეპირად - პლენარულ სხდომაზე წარუდგინოს პარლამენტს საკუთარი პოზიცია. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით კომისიის წევრის თანამდებობიდან გასათავისუფლებლად საჭიროა საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის სამ მეხუთედზე მეტის თანხმობა. თუ კენჭისყრისას მიღებული ხმების რაოდენობა საკმარისზე ნაკლებია, ან თუ საქართველოს პარლამენტი არ გამართავს კენჭისყრას ამ პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურა წყდება.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი